თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 4 დეკემბრის
მორიგი სხდომის
ოქმი № 19

ქ. თერჯოლა 4 დეკემბერი 2024 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ბადრი ბუცხრიკიძე, 10. ჯემალ ისაკაძე, 11. ელისო მურადაშვილი, 12. მანუჩარ ფანჩულიძე, 13. შალვა ჭანკვეტაძე, 14. გრიგოლ გიორგაძე, 15. გოჩა ვერულაშვილი, 16. დავით გოგბერაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ლაშა გურგენიძე, 2. ომარი ჯიხვაშვილი, 3. კახა ბუცხრიკიძე, 4. რამინი რობაქიძე, 5. თამარ ახვლედიანი, 6. ფრიდონი გვენეტაძე, 7. დავით ცხადაძე, 8. ნატალია ასათიანი, 9. კობა კირკიტაძე, 10. მერაბი ბასილაძე, 11. ტარიელ ფანჩულიძე, 12. რუსუდან კოვზირიძე, 13. როლანდი მესხი, 14. ივანე ჩუბინიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 16 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 13 ^{00}სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1.,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის, 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282433465 წერილი, 29.11.2024 წ) ;

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

/თანამომხს.ა.ურიადმყოფელი/

2.,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282433818 წერილი, 03.12.2024 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

3. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2025 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიცპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 ივნისის N გ-29. 2924166001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282433749 წერილი, 02.12.2024 წ);

მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ.33.09.42.992 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-28243377 წერილი, 02.12.2024 წ);

მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

5. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240109 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-28243378 წერილი, 02.12.2024 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

6. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401011 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-28243378 წერილი, 02.12.2024 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

7. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401015 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-28243378 წერილი, 02.12.2024 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

8. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-28243378 წერილი, 02.12.2024 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

9. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401014 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-28243378 წერილი, 02.12.2024 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

10. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის დაფინანსების 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240105 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-28243378 წერილი, 02.12.2024 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

11. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის Nგ-29.29240103 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282433853 წერილი, 03.12.2024 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

12. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 დეკემბრის N24 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282433444 წერილი, 29.11.2024 წ);

მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

13. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

14. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2824337105 წერილი, 02.12.2024 წ).

მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -16, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის, 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის თაობაზე - ბიუჯეტი წარმოდგენილია საკრებულოს მიერ გაგზავნილი შენიშვნებით. მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 20650.0 ათასი ლარის ოდენობით . მათ შორის: საგადასახადო შემოსავლები - 17974.7 ათასი ლარით, გრანტები - 300.0 ათასი ლარით, არასაგადასახადო შემოსავლები - 1975.3 ათასი ლარით და შემოსავლები არაფინანსური აქტივების (კაპიტალური შემოსავლების) სახით 400.0 ათასი ლარის ოდენობით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის საგასავლო ნაწილის საპროგნოზო პარამეტრები განსაზღვრულია საშემოსავლო ნაწილის შესაბამისად - 20650.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც 1500.0 ათასი ლარით მეტია 2024 წლის ანალოგიური მაჩვენებელზე.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -16 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს .,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი (დადგენილება N 18, 04.12.2024 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო ნაწილის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 725.0 ათასი ლარით და შეადგენს 34961.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 725.0 ათასი ლარით (ბანკის პროცენტი გაიზარდა 55.0 ათასი ლარით. რენტა გაიზარდა 200.0 ათასი ლარით. დასუფთავების მოსაკრებელი გაიზარდა 100.0 ათასი ლარით. ჯარიმები გაიზარდა 200.0 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივები გაიზარდა 170.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 65.2 ათასი ლარით. მ/შორის:

მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა შემცირდა 25.6 ათასი ლარით.

კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი შემცირდა 15.9 ათასი ლარით.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა შემცირდა 10.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა შემცირდა 10.0 ათასი ლარით.

ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია შემცირდა 1,0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 767.5 ათასი ლარით. მ/შორის:

მერიის დაფინანსება გაიზარდა 70.0 ათასი ლარით.

მერის სარეზერვო ფონდი გაიზარდა 25.0 ათასი ლარით.

წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია გაიზარდა 14.5 ათასი ლარით (ელ ენერგიის ხარჯი).

თერჯოლის დაუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 185.0 ათასი ლარით

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის დაფინანსება გაიზარდა 14.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები დაფინანსება გაიზარდა 332.0 ათასი ლარით.

სკოლისგარეშე განათლების დაფინანსება გაიზარდა 9.0 ათასი ლარით.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 3.0 ათასი ლარით.

სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 50.0 ათასი ლარით.

სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის დაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით.

სახელოვნებო სკოლების დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვის დაფინანსება გაიზარდა 50.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -16 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს .,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (დადგენილება N 19, 04.12.2024 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2025 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 ივნისის N გ-29. 2924166001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 სექტმებრის N46 14 განკარგულებით დამტკიცებული აქვს 2020-2024 წლების

ინფრასტურქტურული პროექტების განხორციელების სამოქმედო გეგმა, საიდანაც ნაწილი პროექტებისა უკვე განხორციელებულია, ნაწილი კი მიმდინარეობს.
დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ სამოქმედო გეგმაში საჭიროა შევიდეს ცვლილება, რაც გამოწვეულია შემდეგი ინფრასტუქტურული პროექტების დამატებით:

1. სოფ ზედა საზანოში გიორგაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია;
2. ქ. თერჯოლაში ლესელიძის და ჯაბიძის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
3. ალისუბანი აბისინიის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფ. სიქთარვაში;
5. გოდოგანი ბროლისქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
6. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფელ ჭოგნარში ლანჩავების უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები;
7. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფ. ქვედა სიმონეთში ზედა ნიკოლაძეების უბნისა და ბოჭორიშვილების უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -16 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2025 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიცპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 ივნისის N გ-29. 2924166001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება N 29. 29243392, 04.12.2024).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ.33.09.42.992 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი - აღნიშნული უძრავი ქონება გადაეცემა სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართამადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -16 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ.33.09.42.992 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება N 29. 29243393, 04/12/2024).

5.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240109 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი- თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალეზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის ბიუჯეტია 100 000 ლარი სარგებლობს 31 ბენეფიციარი საჭიროა პროგრამის ბიუჯეტის 7100 ლარით გაზრდა და გახდება 107 100 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -16 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240109 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება N29.292433910, 04/12/2024).

6.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401011 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი გახდება 50 400ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -16 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401011 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება N29. 29243399, 04/12/2024).

7.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401015 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების

პროექტი -ბიუჯეტი მთლიანად არის გახარჯული ამიტომ პროგრამის ბიუჯეტი იზრდება 25 000 ლარით და გახდება 325 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -16 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401015 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება N29.29243398, 04/12/2024).

8.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი -თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2024 წლის პროგრამის ბიუჯეტია 301500 ლარი, რომელიც ამ დროისთვის თითქმის მთლიანად გახარჯულია. ამ ეტაპისთვის ხდება 15 000 ლარით ბიუჯეტის ზრდა და გახდება 316 500 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -16 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება N29. 29243397, 04/12/2024).

9.

მოისმინეს:მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401014 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარადაჭერის 2024 წლის პროგრამის ბიუჯეტი თითქმის მთლიანად არის გახარჯული, რაც გამოწვეულია ახალშობილთა ოჯახების დახმარების თანხის გაზრდით. ამიტომ ამ ეტაპისთვის პროგრამის ბიუჯეტი იზრდება 3000 ლარით და გახდება 54 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -16 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401014 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება N29.29243396, 04/12/2024).

10.
მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსების 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240105 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის დაფინანსების 2024 წლის პროგრამის ბიუჯეტის შემცირების ხარჯზე ხდება თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის გაზრდა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -16 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსების 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240105 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება N 29.29243395, 04/12/2024).

11.
მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის Nგ-29.29240103 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 20 000 ლარს, ამ დროისათვის ბიუჯეტი იწურება და უნდა მოხდეს 1750 ლარით ზრდა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -16 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის №-29.29240103 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება N 29.29243394, 04/12/2024).

12.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 დეკემბრის N24 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტი .

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -16 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 დეკემბრის N24 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტები (განკარგულება N 29.2924339001, 04/12/2024, დადგენილება N 22, 04.12.2024 წ.).

13.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიული საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი დაფინანსებით მომდევნო წლის 01 იანვრიდან ხორციელდება საჯარო დაწესებულებებში თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეების სახელფასო განაკვეთების 10%-იანი ზრდა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -16 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება N 20, 04.12.2024 წ.).

14.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიული საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძეიმ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი -საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი დაფინანსებით მომდევნო 01 იანვრიდან ხორციელდება საჯარო დაწესებულებში თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეების სახელფასო განაკვეთების 10% იანი ზრდა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -16 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება N 21, 04.12.2024 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი